შეთანხმება № 1

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. გარდაბანი 15 დეკემბერი 2025 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის - კახაბერ გულედანის სახით, და მეორე მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) წარმოდგენილი მერის - დავით კარგარეთელის სახით, ერთად წოდებულნი როგორც - „მხარეები“, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 დეკემბრის №2075 განკარგულებისა და მხარეებს შორის 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) მე-5 მუხლის 5.3 პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების, მათ შორის, შენობის ძირითადი აგრეგატების შეკეთების სამუშაოების, დაფინანსება/განხორციელება.“.

2. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

3. ხელშეკრულების სხვა პირობები/დანართები, რომლებიც არ იცვლება შეთანხმებით, რჩება უცვლელი. შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას.

4. შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

6. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო	გარდაბნის მუნიციპალიტეტი
ს/ნ: 204755292	ს/ნ: 226573204
მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის №10	მის.: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №127

Kakhaber Guledani 01024009201
Digitally signed by Kakhaber Guledani
Date: 2025.12.15 16:55:38

Daviti Kargareteli 12001028714
Digitally signed by Daviti Kargareteli
Date: 2025.12.15 13:48:51

Gardabani Municipality
Digitally signed by Gardabani Municipality
Date: 2025.12.15 13:52:51 +04'00'